საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №93

2017 წლის 21 სექტემბერი,
ქ. ბათუმი

აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძისთვის
შოთა რუსთაველის სახელობის მედლის გადაცემის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის მე–4 პუნქტის, „შოთა რუსთაველის სახელობის მედლის“ დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 ივლისის №122-ე დადგენილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№10, 20.09.2017) ამონაწერისა და დეკანის, პროფ. მარინა გიორგაძის მოხსენებითი ბარათის (MES 5 17 01117396, 20.09.2017) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. აკადემიკოს **მარიამ ლორთქიფანიძეს** საისტორიო მეცნიერების განვითარების, ახალგაზრდა თაობების აღზრდის საქმეში შეტანილი წვლილისა და დაბადებიდან 95 წლის იუბილესთან დაკავშირებით მიენიჭოს უნივერსიტეტის საპატიო ჯილდო – შოთა რუსთაველის სახელობის მედალი.
2. ბსუ–ს რექტორის აპარატს დაევალოს წინამდებარე დადგენილების აღსრულების უზრუნველყოფა.
3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**